# ერთობლივი დეკლარაცია განზრახვების შესახებ

# 2015-2017 წლებში თანამშრომლობის სამუშაო პროგრამის თაობაზე

# საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა

# და

# გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალურ სამინისტროს

# შორის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის 2005 წლის 27 აპრილის თანამშრომლობის ერთობლივი დეკლარაციის განხორციელების მიზნით, ორივე მხარეს 2015-2017 წლებში შემდეგი ერთობლივი ღონისძიებები აქვს განზრახული:

1. თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების ფარგლებში; პირველ რიგში კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები და ექსპერტთა შეხვედრები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის ინსტიტუციური და პროფესიული ქმედუნარიანობის ამაღლების მიზნით (საქართველო და გერმანია 2015 წლის პირველი ნახევარი).

2. საქართველოში „ნოტარიატის შესახებ“ ახალი კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა სემინარებისა და ექსპერტთა შეხვედრების ფორმით (საქართველო და გერმანია 2015 წლის მეორე ნახევარი).

3. ექსპერტთა შეხვედრები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის რეფორმასთან დაკავშირებით (საქართველო და გერმანია 2015 წლის მეორე ნახევარი).

4. გამოცდილების გაზიარება საქართველოში მედიაციისა და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა მეთოდების შემოღებასთან დაკავშირებით (საქართველო 2015 წლის მეორე ნახევარი და გერმანია 2016 წლის პირველი ნახევარი).

5. კონსულტაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ორგანიზაციასთან დაკავშირებით (საქართველო, 2015 წლის მეორე ნახევრიდან).

6. სემინარები ქართული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის განვითარებისა და იმპლემენტაციის ხელშესაწყობად, სხვათა შორის, სემინარები მოსამართლეებისთვის რეფორმირებული ქართული სისხლის სამართალთან და არასრულწლოვანთა სისხლის სამართალთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით (საქართველო და გერმანია, 2015 წლის პირველი და მეორე ნახევარი).

7. თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საკითხებში (საქართველო და გერმანია 2015 წლის პირველი ნახევარი).

განზრახვების შესახებ ამ ერთობლივ დეკლარაციაში დასახელებული ღონისძიებების განხორციელების პირობები, დაფინანსებასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით, უნდა შეთანხმდეს ორმხრივი კონსულტაციების გზით.

დასახელებულ ღონისძიებებს კოორდინაციას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაცია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალურ სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განყოფილება; პროტოკოლი. დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალურ სამინისტროს შეუძლია გამოიყენოს რეგისტრირებული კავშირი საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი.

ამასთან, ორივე მხარის სურვილია, 2016 წლის ზაფხულიდან ერთობლივად შეაფასონ თანამშრომლობის განვითარება. ამის საფუძველზე მხარეებს განზრახული აქვთ მოსაზრებების გაცვლა სამუშაო პროგრამის გაგრძელების შესახებ და სხვა პროექტების განხორციელება.

ხელმოწერილია ბერლინში, 2014 წლის 3 დეკემბერს, ორ დედნად, თითოეული ქართულ და გერმანულ ენებზე, ამასთანავე ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სახელით

თეა წულუკიანი

Tea TSULUKIANI

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამინისტროს

სახელით

ჰაიკო მაასი

Heiko MAAS

**Gemeinsame Absichtserklärung**

**über ein Arbeitsprogramm**

**der Zusammenarbeit in den Jahren 2015 – 2017**

**zwischen**

**dem Justizministerium von Georgien**

**und**

**dem Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz**

**der Bundesrepublik Deutschland**

Zur Durchführung der Gemeinsamen Erklärung über die Zusammenarbeit zwischen dem Justizministerium von Georgien und dem Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz der Bundesrepublik Deutschland vom 27. April 2005 beabsichtigen die beiden Seiten die nachfolgenden gemeinsamen Maßnahmen in den Jahren 2015 bis 2017:

1. Zusammenarbeit und Erfahrungsaustausch im Rahmen der Umsetzung des Assoziierungsabkommens zwischen Georgien und der Europäischen Union; in erster Linie Durchführung von Fortbildungsmaßnahmen und Fachgesprächen zum Zweck der Erhöhung der institutionellen und fachlichen Handlungsfähigkeit der Europarechtsabteilung im Justizministerium Georgiens (Georgien und Deutschland, 1. Halbjahr 2015),

2. Unterstützung bei der Implementierung des neuen Notargesetzes in Georgien in Form von Seminaren und Fachgesprächen (Georgien und Deutschland, 2. Halbjahr 2015),

3. Fachgespräche zur Reform des georgischen Ordnungswidrigkeitenrechts (Georgien und Deutschland, 2. Halbjahr 2015),

4. Erfahrungsaustausch zur Einführung von Mediation und anderer alternativer Verfahren der Streitbeilegung in Georgien (Georgien, 2. Halbjahr 2015 und Deutschland, 1. Halbjahr 2016),

5. Organisationsberatung zugunsten des dem georgischen Justizministerium nachgeordneten Justizausbildungszentrums (Georgien, ab dem 2. Halbjahr 2015),

6. Seminare zur Unterstützung der Fortentwicklung und Implementierung des georgischen Jugendstrafrechts, unter anderem Seminare für Richter bezüglich des reformierten georgischen Strafrechts und Jugendstrafrechts in Kooperation mit dem Ausbildungszentrum des Justizministeriums Georgiens (Georgien und Deutschland, 1. und 2. Halbjahr 2015).

7. Zusammenarbeit und Erfahrungsaustausch in Fragen der Resozialisierung und Rehabilitation ehemaliger Gefangener (Georgien und Deutschland, 1. Halbjahr 2015).

Modalitäten der Umsetzung der Maßnahmen aus dieser Gemeinsamen Absichtserklärung, einschließlich deren Finanzierung, sollen im Wege gegenseitiger Konsultationen abgestimmt werden.

Die Koordinierung der im Arbeitsprogramm genannten Maßnahmen soll für das Justizministerium von Georgien durch seine Verwaltung und für das Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz der Bundesrepublik Deutschland durch das Referat Internationale rechtliche Zusammenarbeit; Protokoll erfolgen. Zur Durchführung der geplanten Maßnahmen kann sich das Bundesministerium der Justiz und für

Verbraucherschutz der Bundesrepublik Deutschland der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. bedienen.

Die beiden Seiten wollen zudem ab Sommer 2016 die Entwicklung der Zusammenarbeit gemeinsam überprüfen. Sie beabsichtigen, sich auf dieser Grundlage über die Fortsetzung des Arbeitsprogramms auszutauschen und weitere Projekte durchzuführen.

Unterzeichnet in Berlin am 3. Dezember 2014 in zwei Exemplaren, jeweils in georgischer und deutscher Sprache, wobei beide Sprachfassungen gleichwertig sind.

| Für das Justizministerium von Georgien | Für das Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz der Bundesrepublik Deutschland |
|---|---|
| Tea TSULUKIANI | Heiko MAAS |